საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-42

13/01/2021

ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის“ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არ დაქვემდებარების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, 2020 წლის 3 დეკემბერს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა სკრინინგის განცხადება და „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის“ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი.

აღნიშნული სკრინინგის განცხადება და სამოქმედო გეგმის პროექტი ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” შესაბამისად, 2020 წლის 7 დეკემბერს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა (https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/29303) და „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით განსაზღვრული მაღალმთიანი დასახლებების მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფებზე.

როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკრინინგის განცხადებით ირკვევა, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია“ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №343 დადგენილებით.

2018 წლის 29 ოქტომბრის №01/3905 წერილით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ სკრინინგის განცხადებით მომართა სამინისტროს და წარმოადგინა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტი, ხოლო 2018 წლის 20 მარტს წარმოდგენილ იქნა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის (2019-2023) 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა” და სკრინინგის განცხადება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ნოემბრის №2-959 და 2019 წლის 18 აპრილის №2-339 ბრძანებებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული

დოკუმენტების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არ დაქვემდებარების შესახებ.

ამასთან, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტზე“ გაცემული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ნოემბრის №2-959 ბრძანება, სრატეგიული დოკუმენტის პროექტის სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებისთვის არ დაქვემდებარების თაობაზე.

ამჟამად, სამინისტროში წარმოდგენილი „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის“ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება იგეგმება 3 წლის ვადით. აღნიშნული სამოქმედო გეგმა, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიით“ განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად ადგენს განსახორციელებელ აქტივობებს.

2019-2023 წლების სტრატეგიით განსაზღვრულია სამი სტრატეგიული მიზანი: მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და მაღალმთიან დასახლებებში სერვისების ხელმისაწვდომობა. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მაღალმთიანი დასახლებებისა და მათ გარშემო არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნების საფუძველზე, ჩამოყალიბდა 12 ამოცანა. აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, ბიუჯეტი, დაფინანსების წყარო, განხორციელების ადგილი, პასუხისმგებელი უწყება, პარტნიორი უწყება და განხორციელების ვადები.

პირველი მიზანი, რომელიც დაკავშირებულია მაღალმთიანი დასახლებების მდგრად განვითარებასთან, მოიცავს ხუთ ამოცანას, ათ აქტივობასა და ორმოც ქვეაქტივობას. პირველი მიზნის განხორციელების მიზნით იგეგმება როგორც სამთო-სალაშქრო ბილიკების მონიშვნა, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება დაცულ ტერიტორიებზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა რეკრეაციულ პარკში, ჯუთა-როშკა-არხოტი-შატილი-თუშეთის სამოგზაურო ქოხების მოწყობა, ასევე ხელოვნური გათოვლიანების სისტემის და წყლის ხელოვნური რეზერვუარის და ახალ სათხილამურო არეალში სათხილამურო გზების მოწყობა თხილამურებსა და სნოუბორდში თავისუფალი სტილით სრიალში 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების მიზნით, 7 ახალი საბაგიროს მშენებლობა, ახალი სასრიალო გზის მოწყობა ჰაწვალზე, პარკირების მოწყობა, ზაქაგორის ისტორიული ციხე-დასახლების კონსერვაცია/რესტავრაცია და თრუსოს დაცული ტერიტორიის განვითარება და მდგრადი შენარჩუნება, სამონასტრო კომპლექსის/ეკლესიის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია, ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და

ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და რეაბილიტაცია, სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია და ა.შ.

მეორე მიზანი - მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა, ითვალისწინებს ოთხი ამოცანის, შვიდი აქტივობისა და ცამეტი ქვეატივობის განხორციელებას. აღნიშნული მიზნის განხორციელების მიზნით, იგეგმება სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია, მაღალმთიანი დასახლებების გაზიფიცირება, წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, 3 არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელის დახურვა და ნარჩენების გადამტვირთავი 2 სადგურის აშენება, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა, მუზეუმის მშენებლობა/რეაბილიტაცია და ა.შ.

რაც შეეხება, მესამე მიზანს, რომელიც გულისხმობს მაღალმთიან დასახლებებში სერვისების ხელმისაწვდომობას, ითვალისწინებს ორი ამოცანის, სამი აქტივობისა და სამი ქვეაქტივობის განხორციელებას, კერძოდ, მუნიციპალური სერვისების ელექტრონული პლატფორმის შემუშავებას/დანერგვას, მუნიციპალური სერვისების მიმწოდებელი მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის მოწყობასა და გადასახადის გადამხდელთათვის შემოსავლების სამსახურის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

გეგმით განსაზღვრული ამოცანების აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ და პარტნიორ ორგანიზაციებს წარმოადგენს, როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი და დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებები, ასევე სხვადასხვა უწყება, დონორი ორგანიზაციები და შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარმოდგენილი არ ყოფილა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: სგშ-ის ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის და სტრატეგიულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის (მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ითვალისწინებს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული განსახორციელებელი საქმიანობის/საქმიანობების მასშტაბის გაზრდას, საქმიანობის განხორციელების ადგილის ცვლილებას (მათ შორის, გაზრდას), საქმიანობის/საქმიანობების სახეობის, ექსპლუატაციის პირობების ან წარმადობის ცვლილებას), რომლებითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის ამავე ნაწილში ჩამოთვლილი სექტორებისათვის.

ვინაიდან, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის“ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი არ სცდება საქართველოს მთავრობის მიერ, 2019 წლის 18 ივლისის №343 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების

სტრატეგიით“ გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს, ხოლო სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელია სხვადასხვა სამთავრობო უწყება და საერთაშორისო/დონორი ორგანიზაცია, სამოქმედო გეგმა არ საჭიროებს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის გავლას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის“ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არ დაქვემდებარების შესახებ;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდებზე და „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიანი დასახლების მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი